



განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის
სტრატეგიული გეგმა
2013-2017



დოკუმენტის სახელწოდება: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
სტრატეგიული გეგმა, 2013-2017

დოკუმენტში ცვლილებათა ისტორია

ცვლილების თარიღი	ცვლილების შინაარსი	სტატუსი
აგვისტო 2013	სტრატეგიული გეგმის პროექტი	
ოქტომბერი 2013	სტრატეგიული გეგმის საბოლოო ვარიანტი	დამტკიცებულია



შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013-2017 წლების სტრატეგიული გეგმა ასახავს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ცენტრის გრძელვადიან ხედვას, ამ პროცესში მის დანიშნულებასა და ადგილს, განმარტავს ცენტრის მიზნებსა და ძირითად ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ცენტრის დოკუმენტს, რომელიც დეკლარირებული მიზნების მისაღწევად ხელს უწყობს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობას, მეორე მხრივ, ცენტრის თანამშრომლები განიხილავენ მას, როგორც შესაძლებლობას, ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიარონ თავიანთი ხედვა და ამით ხელი შეუწყონ ცენტრის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომ სრულყოფას.

2013-2017 წლების სტრატეგიული გეგმა მიმოიხილავს ცენტრის მანდატს; კანონმდებლობითა და ცენტრის დებულებით განსაზღვრულ სტრუქტურას; ასახავს ცენტრის თანამშრომლების მომავლის ხედვასა და მისიას; აზუსტებს სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებს, ამოცანებსა და ქვეამოცანებს; წარმოაჩენს 2013-2017 წლების სამოქმედო და მონიტორინგის გეგმებს.

ცენტრის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი

ცენტრის სტრატეგიული გეგმა ხანგრძლივი, თანამონაწილეობითი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა, რომელშიც ცენტრის ყველა თანამშრომელი იყო ჩართული. 2013 წლის მარტში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ცენტრის ყველა თანამშრომლის მონაწილეობით და შედგა მსჯელობა ცენტრის მისიაზე, მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებსა და სტრატეგიულ საკითხებზე.

2013 წლის აპრილიდან-ივნისის პერიოდში ცენტრის ხელმძღვანელობისა და სამსახურის უფროსების სამუშაო შეხვედრების შედეგად ჩამოყალიბდა:

- ცენტრის მისია და ხედვა;
- ცენტრის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობებისა და რისკების - SWOT ანალიზი (იხ. დანართი №2);
- გარემო ფაქტორების ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების ანალიზი;
- სტრატეგიული მიმართულებები 2013-2017 წლებში.

2013 წლის ივნისსა და ივლისში სამსახურებმა შეადგინეს პირველადი საოპერაციო გეგმები. მომდევნო პერიოდი გეგმის დახვეწას, გამართვას და ადაპტაციას დაეთმო.

ცენტრის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები კარგად აცნობიერებენ, რომ სტრატეგიული გეგმა ცოცხალი დოკუმენტია და ის ყოველთვის დაექვემდებარება პერიოდულ (სულ მცირე წელიწადში ერთხელ) გადახედვას. მასში ცვლილებები შევა შიდა ფაქტორებისა და გარემოს გათვალისწინებით. ხოლო ყოვლისმომცველი სტრატეგიული დაგეგმარების ციკლი 2017 წელს განმეორდება.



ცენტრის სტრატეგიისა და საოპერაციო გეგმების შემუშავების პროცესის წარმართავს და კოორდინირებაზე პასუხისმგებელია ცენტრის სტრატეგიული სამსახური (იხ. დანართი 3).

ცენტრის მანდატის მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. იგი ასრულებს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს და ახორციელებს შესაბამის პროგრამებს. ცენტრი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 14 სექტემბერს შეიქმნა. ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მუშაობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და ცენტრის დებულებით¹ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ცენტრი:

- ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, აკონტროლებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პირობების შესრულებას და, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს;
- ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას;
- თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებითა და მათი საქმიანობის კოორდინაციით უზრუნველყოფს დარგობრივი და პროფესიული სტანდარტების შემუშავებას, დამტკიცებასა და შემდგომ სრულყოფას;
- გასწევს კონსულტაციებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, მართავს სამიტებს, ტრენინგებს, სემინარებს, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებს;
- ახდენს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, მათ შორის, ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას;
- ახდენს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას;
- აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს;
- ხელს უწყობს მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების პროცესს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას;
- ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული

¹ 2013 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.



პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირებისა, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, ასევე ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების განათლების აღიარებას და გასცემს განათლების აღიარების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს – დიპლომს/პროფესიულ დიპლომს;

- ხელშეკრულების საფუძველზე გასწევს ქართული ენის სწორ გამოყენებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ქმნის სამუშაო ჯგუფებს და გამოსცემს ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის ყოველწლიურ ბიულეტენს;
- ამოწმებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის-განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ენობრივ სისწორეს;
- თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან, მონაწილეობს ამ ორგანიზაციების საქმიანობაში;
- გასცემს თანხმობას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტების მიერ წარდგენილი სპეციალობ(ებ)ის ჩამონათვალი შეესაბამება მთავრობის მიერ დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს;
- უზრუნველყოფს ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობას;
- ეწევა საგამომცემლო საქმიანობას;
- ახორციელებს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით იკვლევს საერთაშორისო პრაქტიკას;
- უზრუნველყოფს საგამომცემლო საქმიანობის განხორციელებას;
- ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ცენტრის დაფინანსების წყაროებია: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. იგი ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. ცენტრს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში.

სტრუქტურა

ცენტრის სტრუქტურა განისაზღვრება ცენტრის დებულებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელსაც მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს, ათავისუფლებს და მის ფუნქციებს განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. ცენტრის დებულების



თანახმად, მისი სტრუქტურა შედგება 7 სამსახურისა და 14 სამმართველოსაგან² (იხ. დანართი 1). მათ შორის:

1. ადმინისტრაცია (სამსახური);
2. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახური;
3. საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური;
4. რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახური;
5. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;
6. სტრატეგიული განვითარების სამსახური;
7. მონიტორინგის სამსახური;
8. განათლების აღიარების სამმართველო.

ცენტრის მომავლის ხედვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომავლის ხედვაა, რომ საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. ცივილიზებული სამყაროს ფეხდაფეხ ის ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე და წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ცენტრის მისიის განაცხადი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მისიას წარმოადგენს, სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად, განათლების ხარისხის კონცეფციის მუდმივი განახლება; სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა. ამგვარად, ცენტრი ხელს უწყობს უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნას.

ცენტრის ღირებულებები

განცხადებული მომავლის ხედვისა და ცენტრის მისიის განხორციელების მიზნით ცენტრი თანხმდება, რომ ცენტრმა მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთ ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს წარმატება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა;

² 2013 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.



- ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;
- ჩვენ გვესმის, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს და ვართ ჩვენი ცენტრის ერთგულნი;
- ჩვენ ვწერგავთ ინოვაციურ მიდგომებს და ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებას;
- ჩვენ ვზრუნავთ მომსახურების მაღალ ხარისხზე;
- ჩვენ ვემსახურებით საზოგადოებრივ ინტერესსა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას;
- ჩვენ ვაფასებთ ინიციატივას და ვზრუნავთ მის მუდმივ გაუმჯობესებაზე;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება;
- ჩვენ ვმუშაობთ გუნდურად და ვიცავთ კოლეგიალობას;
- ჩვენ ვართ შედეგზე ორიენტირებული და ვითვალისწინებთ გაწეულ ხარჯსა და მიღებულ სარგებელს.


დაინტერესებული მხარეებისა და პარტნიორების ანალიზი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ როგორც ფიზიკური პირები - საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეები, ასევე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები: სახელმწიფო და კერძო ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის მიერ დაფუძნებულ ცენტრებთან: შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან), ისევე როგორც სხვა სახელმწიფო უწყებებთან - ფინანსთა სამინისტროსთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და სხვა.

გარე პარტნიორებს (ბიზნეს სექტორი, ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები/ასოციაციები და სამოქალაქო საზოგადოება) ცენტრი განიხილავს როგორც შუამავალს მათსა და ცენტრის ბენეფიციარებს შორის. ხოლო მედია ხელს უწყობს ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ინფორმაციის გავრცელებას. სამოქალაქო საზოგადოება მოიაზრება როგორც ცენტრის მნიშვნელოვანი პარტნიორი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მიზნად ისახავს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობას. ამ მიზნით ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის მასშტაბით მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებული ადგილი უკავია ცენტრისა და განათლების სფეროში მომუშავე იმ საერთაშორისო ქსელებთან (საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელი - ENIC-NARIC, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი - ENQA, ბოლონიის ჯგუფი - BFUG) და ევროპის კავშირის პროექტებთან (Erasmus Mundus, TEMPUS) კავშირებს, რომლებსაც უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში იგი განიხილავს როგორც სტრატეგიულ პარტნიორებს.



სქემა 1: ცენტრის დაინტერესებული მხარეები და პარტნიორები

სტრატეგიული ჩარჩო

ცენტრის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), დეკლარირებული მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაგეგმილი აქვს 2013-2017 წ.წ.-ში იმუშაოს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით:

1. ცენტრის მომსახურებების გაუმჯობესება;
2. საგანმანათლებლო ორგანიზაციების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემების განვითარების ხელშეწყობა;
3. საგანმანათლებლო ორგანიზაციებში განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა;
4. ცენტრის ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად და ქვეამოცანებად.



სტრატეგიული მიმართულება 1 ცენტრის მომსახურებების გაუმჯობესება	სტრატეგიული მიზანი 1 საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებისათვის განათლების აპოსტილით დამოწმების, ლეგალიზაციის, განათლების აღიარებისა და ნამდვილობის დადასტურების მომსახურების გაუმჯობესება
	სტრატეგიული მიზანი 2 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების ეფექტურობისა და სარგებლიანობის გაზრდა
	სტრატეგიული მიზანი 3 ცენტრის მომსახურებაზე საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდა
სტრატეგიული მიმართულება 2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემის განვითარების ხელშეწყობა	სტრატეგიული მიზანი 4 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემის დახვეწა
	სტრატეგიული მიზანი 5 საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემის დახვეწა
	სტრატეგიული მიზანი 6 საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე მონიტორინგის სისტემის დახვეწა
	სტრატეგიული მიზანი 7 ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დანერგვა



<p>სტრატეგიული მიმართულება 3</p> <p>განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა</p>	<p>სტრატეგიული მიზანი 8</p> <p>საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინსტიტუციური განვითარების კულტურისა და პრაქტიკის ხელშეწყობა</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 9</p> <p>საგანმანათლებლო დაწესებულებებში შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და სტუდენტთა შეფასების შესაბამისი სისტემის განვითარების ხელშეწყობა</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 10</p> <p>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის მართვის სისტემის განვითარება</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 11</p> <p>პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 12</p> <p>საგანმანათლებლო დაწესებულებების სარეიტინგო სისტემის შექმნის ხელშეწყობა</p>
<p>სტრატეგიული მიმართულება 4</p> <p>ცენტრის ორგანიზაციული განვითარება</p>	<p>სტრატეგიული მიზანი 13</p> <p>საქართველოს განათლების სისტემის განათლების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 14</p> <p>ცენტრის გარე კომუნიკაციის ეფექტურობის გაუმჯობესება</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 15</p> <p>ცენტრის შიდა ადმინისტრაციული რესურსების გაუმჯობესება</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 16</p> <p>განათლების ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება</p>
	<p>სტრატეგიული მიზანი 17</p> <p>ცენტრში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზი და ოპტიმიზაცია</p>



სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები, ამოცანები და ქვეამოცანები

სტრატეგიული მიმართულება 1: ცენტრის მომსახურებების გაუმჯობესება

ცენტრი საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებს სთავაზობს განათლების აპოსტილით დამოწმების, ლეგალიზაციის, განათლების აღიარებისა და ნამდვილობის დადასტურების მომსახურებას. განათლების აღიარება გულისხმობს საზღვარგარეთ მიღებული განათლების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებას, ხოლო აპოსტილი და ლეგალიზაცია - საქართველოში მიღებული განათლების ნამდვილობის დადასტურებას. ისინი ხელს უწყობენ როგორც ერთი სასწავლებლიდან მეორეში მობილობას, ასევე, მომავალში, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც დასაქმებას.

სტრატეგიული მიზანი 1:

საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებისათვის განათლების აპოსტილით დამოწმების, ლეგალიზაციის, განათლების აღიარებისა და ნამდვილობის დადასტურების მომსახურების გაუმჯობესება

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

1.1 არსებული პროდუქტის/მომსახურების სისტემისა და ხარისხის ოპტიმიზაცია:

1.1.1 განათლების აღიარების მომსახურების სისტემის ოპტიმიზაცია:

- საქართველოსა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცესის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო ცვლილების მომზადება და დამტკიცება;
- სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების პროცედურების გამარტივების მიზნით რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო ცვლილების მომზადება და დამტკიცება;
- უცხოეთში აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით საქართველოში მიღებული განათლების აღიარებისათვის საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება და დამტკიცება;
- განათლების აღიარების საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება და დამტკიცება;
- სხვა ქვეყნების დოკუმენტების აღიარების პროცესის გამარტივებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მათ საგანმანათლებლო სისტემაზე საინფორმაციო ცნობარის შემუშავება და ყოველწლიური განახლება.

1.1.2 საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მომსახურების სისტემის ოპტიმიზაცია;

1.1.3 არსებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ვადების შემცირება:



- დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის დაჩქარებული მომსახურების სერვისის ფორმირება;
- დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების დაჩქარებული მომსახურების ფორმირება;
- უმაღლესი განათლების საფეხურების გათანაბრების ფორმების შემუშავება;
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან თავსებადობის/კვალიფიკაციის გათანაბრების მიზნით აღიარების დოკუმენტების შესაბამისი ფორმების შემუშავება და დანერგვა.

1.2 ახალი პროდუქტის/მომსახურების შემუშავება და შეთავაზება:

- 1.2.1 საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მომსახურების დახვეწა;
- 1.2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის გამოყენებით ახალი პროდუქტისა და მომსახურების დანერგვა:
 - ბენეფიციარებთან კომუნიკაციისათვის ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურებაზე გადასვლა;
 - დაინტერესებული პირებისათვის ცენტრის მიერ მომზადებული დოკუმენტების უცხო ენაზე თარგმნის მომსახურების შეთავაზება;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული ცალკეული ინფორმაციის ელექტრონული მომსახურების შეთავაზება.

მოსალოდნელი შედეგები

დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია, რომ შემდეგი შედეგები მიღწევა:

- შეფასდება პროდუქტის/მომსახურების არსებული სისტემა და პროდუქტის/მომსახურების ხარისხისა და სისწრაფის ოპტიმიზაციის მიზნით შემუშავდება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
- არსებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ვადების შემცირების მიზნით შემუშავდება ახალი პროცედურები და გამარტივებული ფორმები;
- ცენტრის ბენეფიციარებისათვის შესათავაზებლად შემუშავდება ახალი პროდუქტი/მომსახურება.

ძირითადი რისკები

რისკები, რომლებიც წარმოდგენენ ხელშემშლელ ფაქტორებს სტრატეგიული მიზნის მიღწევის პროცესში, შემდეგია:

- საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.

გარე პარტნიორები

დასახული მიზნების მიღწევაში შესაძლო გარე პარტნიორებად მოიაზრებიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;



- განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი 2:

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების ეფექტურობისა და სარგებლიანობის გაზრდა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემთა ბაზების სრულყოფა:

- 2.1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ბაზის გამართული ფუნქციონირებისათვის ტექნიკური მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- 2.1.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფა;
- 2.1.3 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებულ მონაცემთა სრულყოფა;
 - არსებული მონაცემების სიზუსტისა და სანდოობის გაზრდა;
 - ლიკვიდირებული/საქმიანობაშეწყვეტილი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის იმპლანტაცია რეესტრის წარმოების ბაზაში.
- 2.1.4 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემთა ბაზის ფუნქციონალური მრავალფეროვნების გაზრდა:
 - სასწავლო/სოციალური გრანტების ეფექტური ადმინისტრირება;
 - მობილობის ეფექტური ადმინისტრირების ხელშეწყობა;
 - სტუდენტური დაზღვევის ეფექტური ადმინისტრირება;
 - ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური გაცვლის მიზნით ცენტრში არსებული საინფორმაციო სისტემებისა და განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებში არსებული მონაცემთა ბაზების ურთიერთჩართვის უზრუნველყოფა.
- 2.1.5 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების ეფექტურობის გაზრდის მიზნით ნორმატიული ბაზის განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები

დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია, რომ შემდეგი შედეგები მიიღწევა:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული ინფორმაციის ხარისხისა გაზრდისა და მისი გამოყენების ოპტიმიზაციის მიზნით მოდიფიცირდება მონაცემთა ბაზები და ახალი სერვისებით აღიჭურვება.
- ბაზა შეივსება ლიკვიდირებული/საქმიანობაშეწყვეტილი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით შემუშავდება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.



ძირითადი რისკები

რისკები, რომლებიც წარმოდგენენ ხელშემშლელ ფაქტორებს სტრატეგიული მიზნის მიღწევის პროცესში, შემდეგია:

- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება;
- ბენეფიციარების მხრიდან თანამშრომლობის ინტერესისა და მზაობის არარსებობა;
- ცენტრთან საკონტაქტოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამოყოფილი თანამშრომლების დაბალი კვალიფიკაცია;
- ლიკვიდირებული/საქმიანობაშეწყვეტილი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ არ არსებობა.

გარე პარტნიორები

დასახული მიზნების მიღწევაში შესაძლო გარე პარტნიორებად მოიაზრებიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, იუსტიციისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები;
- სამინისტროების სისტემაში შემავალი დაწესებულებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სტრატეგიული მიზანი 3:

ცენტრის მომსახურებაზე საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- 3.1 ცენტრში არსებული პროდუქტის/მომსახურების შესახებ ბენეფიციართა ინფორმირებულობის დონის გაზრდა.
 - 3.1.1 საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეების ოპერატიული მომსახურების მიზნით საინფორმაციო ცენტრის მუშაობის გაუმჯობესება და ქოლ ცენტრის შექმნა;
 - 3.1.2 ცენტრში არსებული პროდუქტის/მომსახურების შესახებ საინფორმაციო მასალების დამზადება;
 - 3.1.3 ცენტრის ბენეფიციართათვის საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა:
 - უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებასთან დაკავშირებით ფასიანი საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა.
 - 3.1.4 ცენტრის ბენეფიციართათვის ტრენინგების ორგანიზება;



- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცვლითი პროგრამების განხორციელებისას წინასწარი თანხმობის გაცემის პროცედურების შესახებ ტრენინგების ჩატარება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორის სამსახურის სერვისების გამოყენების შესახებ ტრენინგების ჩატარება.

3.1.5 ცენტრის ბენეფიციართათვის სარეკომენდაციო მასალების მომზადება:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცვლითი პროგრამების განხორციელებისას წინასწარი თანხმობის გაცემის პროცედურების გაუმჯობესების მიზნით სარეკომენდაციო მასალების მომზადება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განათლების აღიარების საკითხებში სარეკომენდაციო მასალების მომზადება;
- უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგები:

დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია, რომ შემდეგი შედეგები მიიღწევა:

- მოქალაქეების ოპერატიული მომსახურების მიზნით გაუმჯობესდება საინფორმაციო ცენტრის მუშაობის ხარისხი და შეიქმნება ქოლცენტრი;
- მომზადდება და გამოიცემა ცენტრში არსებული პროდუქტის/მომსახურების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები და სარეკომენდაციო სახის მასალები;
- ცენტრის ბენეფიციარებს ჩაუტარდებათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცვლითი პროგრამების განხორციელებისას წინასწარი თანხმობის გაცემის პროცედურებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორის სამსახურის სერვისების გამოყენების შესახებ ტრენინგები;
- ცენტრის ბენეფიციართათვის გაიმართება საკონსულტაციო შეხვედრები.

ძირითადი რისკები

რისკები, რომლებიც წარმოდგენენ ხელშემშლელ ფაქტორებს სტრატეგიული მიზნის მიღწევის პროცესში, შემდეგია:

- ბენეფიციარების მხრიდან თანამშრომლობის ინტერესისა და მზაობის არარსებობა;
- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.

გარე პარტნიორები

დასახული მიზნების მიღწევაში შესაძლო გარე პარტნიორებად მოიაზრებიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.



სტრატეგიული მიმართულება 2:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემის განვითარების ხელშეწყობა

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. ორივე პროცესი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს და ვრცელდება განათლების სამივე დონეზე: ზოგადზე, პროფესიულსა და უმაღლესზე.

სტრატეგიული მიზანი 4:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემის დახვეწა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

4.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის კონცეფციის გადახედვა და იმპლემენტაცია:

4.1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის კონცეფციის შემუშავება;

4.1.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი კონცეფციიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და იმპლემენტაცია;

4.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების განვითარება:

4.2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიზაციის საბჭოების წევრთა შერჩევის წესის ოპტიმიზაცია;

4.2.2 ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნა;

4.3 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარების ხელშეწყობა:

4.3.1 ექსპერტთა კორპუსის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ამოქმედება;

4.3.2 ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ ცენტრში წარმოსადგენი შეფასების დოკუმენტის (Feedback) შემუშავება და იმპლემენტაცია;

4.4 ავტორიზაციის პროცესის მონიტორინგის გაუმჯობესება.

4.5 საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით:

4.5.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ავტორიზაციის საკითხებში ტრენინგების ჩატარება;

4.5.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებისათვის ავტორიზაციის სახელმძღვანელოების შემუშავება.



მოსალოდნელი შედეგები:

დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია, რომ შემდეგი შედეგები მიიღწევა:

- დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით შემუშავდება და განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების არსებული პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით და ავტორიზაციის საბჭოების წევრების შერჩევის სისტემის ოპტიმიზაციით გაიზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოების მუშაობის ეფექტურობა ;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის არსებული პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის შერჩევის სისტემის ოპტიმიზაციითა და ტრენინგების ჩატარებით გაიზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის მუშაობის ეფექტურობა;
- დაინტერესებული პირები მიიღებენ ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პრინციპების, ავტორიზაციის საბჭოებისა და ექსპერტთა კორპუსის შესახებ.

ძირითადი რისკები

რისკები, რომლებიც წარმოდგენენ ხელშემშლელ ფაქტორებს სტრატეგიული მიზნის მიღწევის პროცესში, შემდეგია:

- ბენეფიციარების მხრიდან თანამშრომლობის ინტერესისა და მზაობის არარსებობა;
- კონცეფციაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრთა პასიურობა;
- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.

გარე პარტნიორები

დასახული მიზნების მიღწევაში შესაძლო გარე პარტნიორებად მოიაზრებიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ავტორიზაციის საბჭოს წევრები და ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსი;
- განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი 5:

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემის დახვეწა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:



- 5.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის კონცეფციის გადახედვა და მისი შემდგომი იმპლემენტაცია;
- 5.1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის კონცეფციის შემუშავება;
- 5.1.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ახალი კონცეფციიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და იმპლემენტაცია;
- დაფინანსების გამიჯვნა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის სტატუსისგან;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების პირობითი აკრედიტაციის ინსტიტუტის შემოღება;
 - სხვა ქვეყნების სააკრედიტაციო ორგანოს გადაწყვეტილებათა აღიარება;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების დარგობრივი მიმართულებით დაყოფა;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების „მილევადი“ აკრედიტაციის ინსტიტუტის გაუქმება;
 - ზოგადი განათლების აკრედიტაციის სისტემის ცვლილება;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურის კალკულაციის ახალი წესის ამოქმედება;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ახალი სტანდარტების ამოქმედება.
- 5.2 საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების განვითარება;
- 5.2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრთა შერჩევის წესის ოპტიმიზაცია;
- 5.2.2 სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების წევრთა დანიშვნა.
- 5.3 საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარების ხელშეწყობა;
- 5.3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფუნქციონირების გაუმჯობესება;
- 5.3.2 საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შემადგენლობის განახლება;
- 5.3.3 ექსპერტთა კორპუსის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ამოქმედება.
- 5.4 აკრედიტაციის პროცესის მონიტორინგის დახვეწა;
- 5.4.1 აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების ყოველწლიური ანალიზი და აკრედიტაციის სტანდარტებში ცვლილებების პაკეტის მომზადება;
- 5.5 საგანმანათლებლო დაწესებულებებში თვითშეფასების პროცესის;
- 5.6 საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობიერების ამაღლება აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით;



- 5.6.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება;
- 5.6.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ პუბლიკაციების სერიის მომზადება;
 - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს გამოცემა;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების ელექტრონული გზამკვლევის გამოცემა;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა დარგობრივი რეკომენდაციების შემუშავება და გამოცემა;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ელექტრონული სახელმძღვანელოს გადახალისება.

მოსალოდნელი შედეგები:

დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია, რომ შემდეგი შედეგები მიიღწევა:

- დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით შემუშავდება და განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის კონცეფცია ;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების არსებული პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობითა და აკრედიტაციის საბჭოების წევრების შერჩევის სისტემის ოპტიმიზაციით გაიზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების მუშაობის ეფექტურობა ;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის არსებული პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის შერჩევის სისტემის ოპტიმიზაციითა და ტრენინგების ჩატარებით გაიზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის მუშაობის ეფექტურობა ;
- დაინტერესებული პირები მიიღებენ ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის პრინციპების, აკრედიტაციის საბჭოებისა და ექსპერტთა კორპუსის შესახებ.

ძირითადი რისკები

რისკები, რომლებიც წარმოდგენენ ხელშემშლელ ფაქტორებს სტრატეგიული მიზნის მიღწევის პროცესში, შემდეგია:

- ბენეფიციარების მხრიდან თანამშრომლობის ინტერესისა და მზაობის არარსებობა;
- კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფის წევრთა პასიურობა;
- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.

გარე პარტნიორები

დასახული მიზნების მიღწევაში შესაძლო გარე პარტნიორებად მოიაზრებიან:



- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- აკრედიტაციის საბჭოს წევრები და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი;
- განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი 6:

საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე მონიტორინგის სისტემის დახვეწა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- 6.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე მონიტორინგის სისტემის დახვეწა
 - 6.1.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე მონიტორინგის კონცეფციის შემუშავება;
 - 6.1.2 გარე მონიტორინგის კონცეფციაზე დაყრდნობით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება;
 - 6.1.3 გარე მონიტორინგის საპროცედურო მოქმედებების დახვეწა;
 - 6.1.4 მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურული განვითარება.

მოსალოდნელი შედეგები:

დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია, რომ შემდეგი შედეგები მიიღწევა:

- შემუშავდება საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე მონიტორინგის კონცეფცია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებითა პაკეტი;
- შემუშავდება გარე მონიტორინგის ეფექტური პროცედურები;
- დაიხვეწება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გარე მონიტორინგის სისტემა და ჩატარებული სამუშაოთა ეფექტურობა.

ძირითადი რისკები

რისკები, რომლებიც წარმოდგენენ ხელშემშლელ ფაქტორებს სტრატეგიული მიზნის მიღწევის პროცესში, შემდეგია:

- ბენეფიციარების მხრიდან თანამშრომლობის ინტერესისა და მზაობის არარსებობა;
- კონცეფციაზე მომუშავე ჯგუფის წევრების პასიურობა;
- გარე მონიტორინგის შემუშავებული წესების განხორციელების სირთულე;
- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.

გარე პარტნიორები



დასახული მიზნების მიღწევაში შესაძლო გარე პარტნიორებად მოიაზრებიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი 7:

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დანერგვა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

